



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

განკარგულება № 9

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრის - მრჩეველის კანდიდატურის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

6 ნოემბერი, 2019 წელი

დაბა ჩაქვი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35^ე მუხლის პირველი-მესამე პუნქტებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და 143-ე მუხლის პირველი-მესამე პუნქტების შესაბამისად:

1. გამოცხადდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 1 წევრის - მრჩეველის კანდიდატურის შესარჩევი ღია კონკურსი.

2. მრჩეველობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი. მას უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, 5 წლისა - ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის, საფინანსო, ელექტრონული კომუნიკაციების, სახელოვნებო, სამწერლო ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში.

3. ყველას აქვს უფლება, წარადგინოს მრჩეველობის კანდიდატურა. მრჩეველობის კანდიდატთა წარდგენის თაობაზე განაცხადები წარდგენილ იქნეს 2019 წლის 6 დეკემბრის ჩათლით.

4. მრჩეველობის კანდიდატის წარდგენის თაობაზე განაცხადები შეიტანება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე, წერილობით შემდეგ მისამართზე: ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვი, ბადრი მეგენიშვილის ქუჩა №25 ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: contact@sca.ge.

5. მრჩეველობის კანდიდატის წარდგენის თაობაზე განაცხადს თან უნდა ერთვოდეს:

- ა) კანდიდატის CV;
- ბ) კანდიდატის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
- გ) კანდიდატის მიერ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;


დ) იმ დოკუმენტის ასლი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილებას, მათ შორის, 5 წლისა - ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის, საფინანსო, ელექტრონული კომუნიკაციების, სახელოვნებო, სამწერლო ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში;

ე) საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარების კონცეფცია.

6. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

7. განკარგულება საჯაროდ გამოცხადდეს 2019 წლის 6 ნოემბერს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).



დავით გაბაიძე